ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 73

2019 წლის 19 ნოემბერი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ისა და ა(ა)იპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“-ს ლიკვიდაციასა და ა(ა)იპ „ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ის (ს/კ №248432174) და „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“-ს (ს/კ №248432717) ლიკვიდაცია და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს დაფუძნება და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

3.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნადიმ ვარშანიძე